

შეთანხმება

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის 2015 წლის 13 ნოემბერს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

30 დეკემბერი, 2020

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (ს/კ: N202374251, მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N5), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბერიკა შუკაკიძის სახით და მეორე მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის N4), წარმოდგენილი მინისტრის, მაია ხაჯიშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის 2015 წლის 13 ნოემბერს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში და მემორანდუმის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„7. მემორანდუმი ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“.

2. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
3. მემორანდუმის სხვა დებულებები დარჩეს უცვლელად.
4. შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:


სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი


დირექტორი

ბერიკა შუკაკიძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო


მინისტრი

მაია ხაჯიშვილი

